



<p>„ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღების მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი</p>		
კომენტარის წარმდგენი სუბიექტი	კომენტარი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
<p>სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“ (წერილის კომისიაში რეგისტრაციის № შ-24-6/2649, თარიღი: 14.06.2024)</p>	<p>მეთოდოლოგია საკმაოდ კომპლექსურია და რთულად აღქმადი, ასევე სასურველია მოხდეს პროცესის მარტივი ენით დეტალურად აღწერა, რადგანაც მხარეებს შეეძლოთ ორმხრივი მოლაპარაკების ფარგლებშიც მეთოდოლოგიით განსაზღვრული მოდელის გამოყენება, რაც ვთვლით, რომ კომისიის რეკომენდაციაც შეიძლება იყოს.</p>	<p>კომენტარის გათვალისწინება არ არის მიზანშეწონილად მიჩნეული კომისიის მიერ, იმ თვალსაზრისით, რომ მეთოდოლოგია შეესაბამება ნორმატიული აქტის სტანდარტს და არის განჭვრეტადი.</p> <p>თუმცა, დაინტერესებული მხარეებისათვის მეთოდოლოგიაში მოცემული მიდგომების და საფასურის მოდელის განმარტების მიზნით, კომისია გეგმავს, რომ გამართოს სამუშაო შეხვედრა, სადაც მხარეებს მიენოდებათ დეტალური ინსტრუქცია მოდელის გამოყენების შესახებ - რათა თავადაც შეძლონ მოდელით სარგებლობა, საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>ამასთან, „PricewaterhouseCoopers Advisory s.r.o (PwC) ექსპერტების მიერ ასევე მომზადებულია სარეკომენდაციო დოკუმენტი „ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების საფასურის მოდელის შევსების პარამეტრების განმარტება“ (შემდგომში - „სარეკომენდაციო მითითებები“) (რომელიც დაინტერესებულ მხარეებთანაც არის გაზიარებული) და ეს სარეკომენდაციო დოკუმენტიც ხელს შეუწყობს მხარეებს მეთოდოლოგიის უკეთ აღქმაში.</p>
	<p>მეთოდოლოგია განსაზღვრავს მომსახურების ფასის გაანგარიშებას ეროვნულ დონეზე (გეოგრაფიული სპეციფიკის გათვალისწინებით) და განმარტავს ტერიტორიულ დაყოფას შემდეგი სამი მახასიათებლით, გეოტიპი A - დასახლებები და დასახლებების ნაწილები მჭიდრო</p>	<p>მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს გეოგრაფიული ტიპების სირთულის მიხედვით სხვადასხვა კატეგორიაში სავალდებულო გადანაწილებას, არამედ აქ განხილულია შესაძლებლობა, რომ სირთულის კატეგორიები იქნას გამოყენებული, თუ კონკრეტული</p>

<p>განაშენიანებით; გეოტიპი B - დასახლებები და დასახლების ნაწილები მჭიდრო განაშენიანების გარეშე და გეოტიპი C - დასახლების გარეთ მდებარე ტერიტორია. ამავე დროს, მეთოდოლოგია ითვალისწინებს ამ გეოტიპების დაყოფას სამ სხვადასხვა სახის სირთულის არეალად, რაც დგინდება ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის რელიეფის სირთულის გათვალისწინებით, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ინფრასტრუქტურის განთავსების არეალის დამახასიათებელ ფაქტორებზე. მეთოდოლოგია მხოლოდ შესაძლებლობას განიხილავს ამ ფაქტორების შესაბამისად კოეფიციენტების გამოყენებისა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოთხოვნის შესრულებისათვის საჭიროება დადგება ქვეყნის მასშტაბით შესწავლილი იქნას არეალები და მათთვის მოხდეს შესაბამისი კოეფიციენტის მინიჭება, რაც ამ დროისათვის არ არსებობს, ეს პროცესი გამოიწვევს დამატებით გაურკვევლობას. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, მიმდინარე მდგომარეობით, ამ მონაცემების შეგროვება შეუძლებლად მიგვაჩნია. ამასთან ერთად, ამ ვალდებულებების ამოქმედების შემთხვევაში გართულდება მიმდინარე პროცესიც, რადგანაც მხარეებს ასევე მოუწევთ აღრიცხვა რომელი გეოტიპის, რა სირთულის მონაკვეთზე მოხდება საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მონტაჟი. შესაბამისად, გთავაზობთ პირველ ეტაპზე მოხდეს მხოლოდ გეოტიპების მიხედვით არეალების დაყოფა.</p>	<p>ინფრასტრუქტურის ოპერატორისათვის რელევანტურია ესა თუ ის სირთულის კატეგორია. რეალურად ეს მიდგომა გულისხმობს, რომ, თუ ოპერატორი ქსელის მშენებლობის ხარჯებს გეოგრაფიული სპეციფიკაციის მიხედვით გასწევს და აღრიცხავს, ეს განსხვავებული ხარჯები იქნას ასახული მომსახურების ღირებულებაში. რეალურად კი, ბოძების მშენებლობის რაოდენობის და ღირებულების შესახებ ინფორმაცია ამოღებულ უნდა იქნას კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერებიდან და აქტივების რეესტრიდან.</p> <p>თუმცა, აღნიშნული მიდგომის ხაზგასმის მიზნით, დაკორექტირდა მეთოდოლოგიის მე-7 მუხლი (გეოგრაფიული დაშვებები) და მიეთითა, რომ დანახარჯების გამოთვლისთვის ფიზიკური ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტი, შესაძლოა განთავსდეს შესაბამისი გეოტიპის სირთულის საკოეფიციენტო კატეგორიაში (იხ. მე-2 და მე-4 პუნქტები).</p>
<p>მეთოდოლოგია განსაზღვრავს ტარიფის გაანგარიშებისას გამოსაყენებელ ხარჯებს. საფასურის გაანგარიშებაში მონაწილეობს როგორც აქტივის შესაქმნელად საჭირო კაპიტალური დანახარჯები, ასევე საოპერაციო ხარჯები და ფასნამატი. რადგანაც კომპანიის ქსელზე კომუნიკაციის ოპერატორის მიერ საკუთარი ხაზების განთავსება იწვევს დამატებით როგორც საოპერაციო, ასევე საინვესტიციო დანახარჯების ვალდებულებას, გთხოვთ განგვიმარტოთ, რამდენად არის გათვალისწინებული ეს დანახარჯები საფასურის გაანგარიშებაში გამოყენებული კომპონენტებში, რადგანაც მეთოდოლოგიაში განხილულ კაპიტალურ დანახარჯებში ეს ნაწილი ჩვენი ხედვით არ მონაწილეობს.</p>	<p>მოდელში და მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მომსახურების განწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.</p> <p>კაპიტალური დანახარჯები საფასურში ხვდება დისკონტირებული ანუიტეტის მეთოდის გამოყენებით.</p> <p>საოპერაციო ხარჯები პირდაპირ ან პირდაპირ პროპორციულად გამომდინარეობს ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურების განწევიდან. საოპერაციო ხარჯებში შესაძლოა შედიოდეს ბოძების შეღებვის, გასწორების, ბეტონის სამაგრების გამყარების, ბოძებზე განთავსებული მარკირების განახლება და მომსახურების განწევასთან დაკავშირებული</p>

<p>საოპერაციო დანახარჯებმა შეიძლება მოიცვას მიმდინარე საოპერაციო ხარჯები, ხოლო „ფასნამატის“ კომპონენტის განმარტება საკმაოდ ზოგადია და მოიაზრებს იმ დანახარჯების ასახვას, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული კონკრეტულ აქტივთან. მიგვაჩნია, რომ კომპანიის აქტივზე კომუნიკაციის ოპერატორის მიერ განთავსებული ინფრასტრუქტურის შედეგად გაზრდილი „როგორც საოპერაციო დანახარჯები, ასევე განეული დამატებითი ინვესტიცია, უნდა მონაწილეობდეს საფასურის გაანგარიშებისას.</p> <p>ექსპერტების მიერ შემუშავებული დოკუმენტის მე-2 მუხლის დათქმაც სავარაუდოდ ითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას: - „ზოგადად, ევროკომისიის რეკომენდაცია განსაზღვრავს საუკეთესო მეთოდს საბითუმო დაშვების სერვისის ღირებულების დასადგენად, როგორც “მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელი” (BU LRIC+). LRIC+ მოდელი ითვალისწინებს ნაზარდ კაპიტალსა და საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც განეულია ჰიპოთეტური ეფექტური ოპერატორის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაშვების მომსახურებას, როდესაც მისი ფასი გაზრდილია იმ ღირებულებით, რომელიც იძლევა საერთო ხარჯების ანაზღაურების საშუალებას.</p>	<p>სხვა სამუშაოები.</p> <p>გარდა ამისა, არის შესაძლებლობა, რომ ფასნამატში გათვალისწინებული იქნას ისეთი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არ გამოდინარეობს მომსახურების განწვეიდან, თუმცა შეუძლებელია მათი თავიდან არიდებაც, მაგალითად როგორცაა ობიექტების მართვის პერსონალის ხარჯები, ქსელის აქტივების მართვის და სხვა ამგვარი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული თანამშრომლების ხარჯი, რომელსაც კომპანია თავიდან ვერ აიცილებს.</p> <p>გთხოვთ, დამატებით იხილოთ, ასევე მეთოდოლოგიის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი (კერძოდ, „ბ.დ“, „ბ.ე“ და „ბ.ვ“ ქვეპუნქტები).</p>
<p>მეთოდოლოგია ითვალისწინებს აქტივების შეფასების მეთოდებს და გამოყოფს ისტორიული ღირებულებით აღრიცხვას და მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვას. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგიაში არის დათქმა “მიმდინარე ხარჯების აღრიცხვის“ მეთოდის უპირატესი გამოყენების შესახებ, ასევე გათვალისწინებულია ამ მეთოდის შესაძლებლობის კრიტერიუმიც. კომპანიის აქტივები, რაც მოიაზრება რომ შეიძლება იყოს გამოყენებული (ბოძები) მეთოდოლოგიის პროექტის მიზნებისათვის, წარმოადგენს მეორადი გამოყენებისათვის გამოუსადეგარ აქტივს და მასზე გავრცელდება აღდგენითი ღირებულების გამოყენების მეთოდი. თუმცა გაურკვეველი რჩება რა შემთხვევაში შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება ჩაითვალოს შეუძლებლად, რადგანაც საუბარია მიმდინარე</p>	<p>კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს კომენტარის შესაბამისად რაიმე სახის შესწორების შეტანას მეთოდოლოგიაში შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს რაიმე სახის აქტივების სისტემატიზაციას და მათ პირდაპირ მიკუთვნებას მეორადი გამოყენებისთვის გამოუსადეგარი ან/და მრავალჯერადი გამოყენების აქტივებისადმი. მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მოცემულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ამა თუ იმ აქტივის მეორადი ან მრავალჯერადი გამოყენების აქტივის კატეგორიაში მოქცევა. ამდენად, მხარის მიერ განხილული ბოძი წინასწარ განსაზღვრულ</p>

<p>მდგომარეობით აქტივის შექმნის (ჩანაცვლების) თეორიულ ღირებულებაზე. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი აკრედიტებული საექსპერტო ორგანოს მიერ, რაც თავის მხრივ გამოორიცხავს დაინტერესებული მხარეების მიერ ტარიფის გაანგარიშებისას მიკერძოებული ინფორმაციის გამოყენების შესახებ ნებისმიერ დავას, რადგანაც შეფასებული იქნება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ამავე დროს, გაურკვეველი ხდება ამ მეთოდის არჩევისას კომპანიას რატომ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მეთოდოლოგიის პროექტით წარმოდგენილი დანართების შევსების, რადგანაც რეალურად ამ მეთოდის არჩევისას საფასურის განსაზღვრა შესაძლებელია დამოუკიდებელი საექსპერტო ბიუროს/აუდიტორის მიერ.</p>	<p>რომელიმე კატეგორიაში ვერ მოექცევა ყველა შემთხვევაში და საკითხის შეაფასება დამოკიდებული იქნება საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე.</p> <p>ამასთან, მას შემდეგ რაც მოხდება ამა თუ იმ აქტივის რომელიმე აქტივის კატეგორიაში მოქცევა, მის მიმართ გამოყენებული იქნება კაპიტალური დანახარჯების გაანგარიშების შესაბამისი მეთოდი (იხ. მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი).</p>
<p>მეთოდოლოგია განსაზღვრავს ანუიტეტის მოდელების გამოყენებას და რეკომენდაციას იძლევა გამოყენებული იქნას მოდიფიცირებული გადახრილი ანუიტეტი, თუმცა დასაბუთება, რატომ უნდა მოხდეს ამ მოდელის გამოყენება ძალზედ ზოგადია. კომპანიას მიაჩნია, რომ არ უნდა მოხდეს გადახრილი ანუიტეტის გამოყენება და საფასურის გაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იქნას ან სტანდარტული ანუიტეტი ან მოდიფიცირებული ანუიტეტი</p>	<p>მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი განსაზღვრავს კონცეპტუალურ საფუძვლებს ანუიტეტის სხვადასხვა ვარიაციის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სატელეკომუნიკაციო სექტორში კაპიტალური ხარჯების სპეციფიკაციიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აქტივების ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს არამარტო მიმდინარე ღირებულებას, არამედ აქტივის ფასის საშუალო წლიურ ცვლილებას და გარდა ამისა აქტივის მშენებლობისთვის საჭირო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც აქტივი ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების გენერირებას, მეთოდოლოგიით უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული იმ მიდგომას, რომელიც ყველა ამ ფაქტორს ითვალისწინებს, კერძოდ გადახრილ მოდიფიცირებულ ანუიტეტს.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ რომელიმე კონკრეტული ბიზნეს მოდელის შემთხვევაში ესა თუ ის პირობა შეიძლება არ იყოს რელევანტური და მისთვის უპირატესად განისაზღვროს განსხვავებული მიდგომა, შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ანუიტეტის მოდელების სრული ჩამონათვალი დარჩეს მეთოდოლოგიაში და კომისია, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, შესაბამისი</p>

		<p>დასაბუთებით, გამოიყენებს იმ კონკრეტული ბიზნეს მოდელისთვის რელევანტურ ხარჯების განლიურების მეთოდს.</p> <p>თუმცა, მხარის კომენტარის ნაწილობრივ გათვალისწინებით, მეთოდოლოგიის მიხედვით რომელიმე მეთოდს რომ არ ჰქონდეს ცალსახად მინიჭებული უპირატესობა, შესწორება შევიდა მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტში და ამოღებულ იქნა მითითება, რომ უპირატესობა მიენიჭება მოდიფიცირებულ გადახრილ ანუიტეტს.</p>
	<p>მეთოდოლოგიაში ცხადად არ არის განსაზღვრული, საფასურის გაანგარიშება მოხდება კომპანიის ქსელზე ფაქტობრივად დაშვებული კომუნიკაციის ოპერატორების მიერ განთავსებული საკაბელო ინფრასტრუქტურის რაოდენობის გათვალისწინებით, თუ გაანგარიშება მოხდება თეორიულად დასაშვები დამატებითი ინფრასტრუქტურის განთავსების შესაძლებლობიდან გამომდინარე. კომპანიის პოზიციაა, რომ გაანგარიშება მოხდეს ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და არ მოხდეს ამ შემთხვევაში თეორიული დაშვებების გაკეთება. ეს გამოიწვევს დამატებით გაურკვეველობას იქედან გამომდინარე, რომ კომპანიის ინფრასტრუქტურა შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს და შესაბამისად დასაშვები მოცულობების გაანგარიშება თითოეული აქტივისათვის გახდეს საჭირო, რასაც ფაქტობრივი მდგომარეობა გამორიცხავს</p>	<p>კომისიას არ მიაჩნია მიზანშეწონილად კომენტარის გაზიარება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურება შესაძლოა განეულ იქნას სხვადასხვა დარგის და ტიპის ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სხვადასხვა შემთხვევისთვის შესაძლოა რელევანტური იყოს განსხვავებული მიდგომა. ამდენად, თითოეული საქმის შესწავლის პროცესში, კომისიის მიერ შესაძლოა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მიდგომა იქნას გამოყენებული, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასა და რეკომენდაციებზე და თითოეული მათგანი იქნება დასაბუთებული - კომისიის გადანყვეტილების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით.</p>
	<p>მეთოდოლოგია არ ამბობს, კომისიის მიერ მეთოდოლოგიის შესაბამისად გაანგარიშებული მომსახურების ღირებულება, რა ვადით არის ვალიდური. უნდა მოხდეს ამ ღირებულების ყოველწლიურად გადახედვა, თუ მოხდება გარკვეული „რეგულირების პერიოდის“ შემოღება, რა დროშიც ეს მომსახურების ღირებულება იქნება აქტიური და შემდგომ პერიოდზე კომპანიებს ისევ ექნებათ დამატებით შეთანხმების შესაძლებლობა და შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოხდება კომისიის მიერ ისევ</p>	<p>არ არსებობს კონკრეტული სახელმძღვანელო მითითება, რომელიც განსაზღვრავს საფასურის გამოყენების ვალიდურ პერიოდს. შესაბამისად, საფასურის ვალიდურობის პერიოდი დამოკიდებულია ოპერატორების შეთანხმებაზე. ზოგადად, პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, შესაძლოა მიჩნეულ იქნას საფასურის გადაანგარიშების პირობად. პრაქტიკაში, როგორც კი მხარეებს გაუჩნდებათ განცდა, რომ საფასური აღარ არის რელევანტური,</p>

	<p>ახალი ღირებულების განსაზღვრა?</p>	<p>იგი შესაძლოა გადაანგარიშდეს მხარეების მიერ. ამასთან, კვლავ დავის წარმოშობის შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა ხელახლა მიმართონ კომისიას.</p>
	<p>მეთოდოლოგიით განსაზღვრულია კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება (WACC), რომელიც განისაზღვრება კომისიის 2017 წლის 5 სექტემბრის N592/9 გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, თუმცა კომისიის ამ გადაწყვეტილებაში მოცემულია ორი სხვადასხვა კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება, მობილური და ფიქსირებული ქსელებისათვის გარდა NGA ქსელის მიზნობრივი სეგმენტებისა - 14,49% ოდენობით და NGA ქსელის მიზნობრივი სეგმენტისათვის 16,88%-ის ოდენობით. მეთოდოლოგიაში არ არის ზუსტი დათქმა, რომელი ამონაგების გათვალისწინება მოხდება მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ურთიერთობებისათვის</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე. კერძოდ, კომისიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით განისაზღვრა კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების (WACC) ორი მნიშვნელობა, მომავალი თაობის (NGA) მობილური და ფიქსირებული ქსელებისთვის და სხვა მობილური და ფიქსირებული ქსელებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურება მიზნად ისახავს სწორად მომავალი თაობის ქსელების მშენებლობის ხელშეწყობას და მათ გაფართოებას, ამ მიზანთან თანხვედრისთვის მიზანშეწონილია, ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურების საფასურის კალკულაციის დროსაც გამოყენებულ იქნას WACC-ის ღირებულება NGA პრემიუმის გათვალისწინებით, თუ კომისია არ დაადგენს განსხვავებულ პირობებს WACC-ის ხელახალი გადაანგარიშების შემთხვევაში.</p>
<p>შპს „მაგთიკომი“ (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-24-6/2664, თარიღი: 17.06.2024)</p>	<p>პროექტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ოპერატორმა უნდა მიიღოს ინვესტიციაზე სამართლიანი ეკონომიკური მოგება, თუმცა პროექტში არსად არის განსაზღვრული, რა სახით უნდა მოხდეს მოგების განაკვეთის/მოცულობის დადგენა. პროექტში არის მინიშნება ე.წ „mark-up“-ზე, რის მიხედვითაც აღნიშნულ ფასებში ზედნაღები ხარჯების ჩართვის შესაძლებლობას გულისხმობს</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს დამატებით შესწორებას სამართლიანი ეკონომიკური მოგების განმარტების მიზნით, გამომდინარე იქიდან, რომ, ზოგადი ეკონომიკური საფუძველებით, სამართლიანი ეკონომიკური მოგება გამოითვლება კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების ე.წ. WACC საფუძველზე, რომელიც მონაწილეობს ანუიტეტის ფორმულაში.</p>
	<p>პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია - „მიზეზობრიობის პრინციპი“, მაგრამ გაურკვეველია, რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ.</p>	<p>კომისიას არ მიაჩნია მიზანშეწონილად კომენტარის გაზიარება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში არის გაკეთებული დათქმა, რომ მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ასევე, „ელექტრონული</p>

		<p>კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში მოცემული მნიშვნელობა - თუ უშუალოდ ამ მეთოდოლოგიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თავის მხრივ, კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით მიზეზობრიობა განიმარტება, როგორც სხვადასხვა საქმიანობაზე შემოსავლების და დანახარჯების განაწილება მიზეზობრივი კავშირების (Causal driver) საშუალებით. (იხ. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).</p> <p>აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება თანხვედრაშია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) მიერ შემოთავაზებულ განმარტებასთან. კერძოდ, ITU-ს განმარტებით: მიზეზობრიობის პრინციპი გულისხმობს შემოსავლების (მათ შორის ტრანსფერული შემოსავლების), ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების განაწილებას ხარჯის კომპონენტებზე, მომსახურებებსა და ბიზნეს ერთეულებზე იმ აქტივობების შესაბამისად, რომლებმაც განაპირობა მათი წარმოშობა.</p> <p>ამდენად, დამატებითი ტერმინის შემოღება აღარ არის საჭირო და კომისია იხელმძღვანელებს კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით.</p>
<p>პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ საფასურის გაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იქნეს ინფრასტრუქტურის ელემენტის მაქსიმალური დატვირთვის პროპორცია. მაგალითად, ინფრასტრუქტურის ოპერატორს დასახლებული პუნქტისგან მოშორებით აქვს ანძა, სადაც თეორიულად შესაძლებელია 20 ერთეული ანტენის განთავსება, მაგრამ რეალურად მოთხოვნები არ აღემატება მაგალითად 12-ს, გაურკვეველია ასეთ დროს ფასის გაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იყოს 20 ანტენის განთავსების შესაძლებლობა,</p>		<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურება შესაძლოა განეუღ იქნას სხვადასხვა დარგის და ტიპის ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სხვადასხვა შემთხვევაზე შესაძლოა რელევანტური იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული მიდგომა. ამდენად, თითოეული საქმის შესწავლის პროცესში, კომისიის მიერ</p>

	<p>თუ 12-ის.</p>	<p>შესაძლოა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მიდგომა იქნას გამოყენებული, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასა და რეკომენდაციებზე და თითოეული მათგანი იქნება დასაბუთებული - კომისიის გადანყვეტილების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით.</p>
	<p>პროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დადგინდება გეოგრაფიული და მომსახურების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ერთიანი საშუალო შენონილი ფასი ერთ მეტრზე/ცალზე/ერთეულზე, მაგრამ გაურკვეველია ვინ ადგენს ამ საშუალო ფასს. ასევე გაურკვეველია, კონკრეტული ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის იქნება დათვლილი, თუ თეორიული ეფექტური ოპერატორისთვის.</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>მომსახურების ტარიფს ადგენს თავად ინფრასტრუქტურის ოპერატორი, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში - ტარიფს გამოითვლის კომისია კონკრეტული ოპერატორისთვის. იმ შემთხვევაში თუ ოპერატორის მიერ წარმოდგენილი მონაცემები და ინფორმაცია ხარჯების შესახებ არ არის საკმარისი ან/და შესაბამისობაში არ არის საბაზრო მაჩვენებლებთან, მაშინ კორექტირებები განხორციელდება თეორიულად ეფექტური ოპერატორის პრინციპის საფუძველზე.</p>
	<p>პროექტის მე-5 მუხლის ე) პუნქტში მითითებულია „საგანგებო ხარჯები“, მაგრამ გაურკვეველია, რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ.</p>	<p>წარმოდგენილი კომენტარის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიის მე-3 მუხლს დაემატა ტერმინი „საგანგებო ხარჯები“ (იხ. „ზ“ ქვეპუნქტი).</p> <p>საგანგებო ხარჯებში იგულისხმება ექსტრემალურ სიტუაციებში წარმოშობილი ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ძირითად ბიზნეს საქმიანობასთან ან შესაბამისი მომსახურების განვასთან.</p>

<p>პროექტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველო დაყოფილია 3 გეოგრაფიულ ტიპად“, მაგრამ გაურკვეველია ვინ და როგორ განსაზღვრავს ამ გეოგრაფიულ ტიპებს ისე, რომ ის გამოყენებადი იყოს პრაქტიკაში ფასების კალკულაციისათვის.</p> <p>თავის მხრივ, მე-3 პუნქტში საუბარია ფიზიკური ინფრასტრუქტურის სირთულის მიხედვით განსაზღვრ „შესაძლო“ კოეფიციენტებზე, მაგრამ გაურკვეველია ვინ და როგორ აფასებს და რა მოცულობით უნდა იქნეს აღებული კოეფიციენტები.</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>გეოგრაფიული ტიპების შერჩევის კრიტერიუმები ნათლად არის განერილი მეთოდოლოგიაში. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებული პასიური ინფრასტრუქტურის სექციების მიკუთვნებას ამა თუ იმ გეოგრაფიულ ტიპზე, ეს შესაძლებელია ეფუძნებოდეს ინფრასტრუქტურის ოპერატორის სააღრიცხვო სისტემებში არსებულ ჩანაწერებს (ე.ი. ფიქსირებული აქტივების რეესტრს) ამ სექციების ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო ამა თუ სირთულის საკოეფიციენტო კატეგორიის მაჩვენებლის შეფასება დაეფუძნება ამ აქტივების მშენებლობისთვის განეულ ხარჯებს.</p>
<p>პროექტის მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ „მხედველობაში იქნეს მიღებული გრძელვადიან პერსპექტივაში გასანევი სამომავლო საშუალო ნაზარდი დანახარჯები“. გაურკვეველია, რა ტიპის საშუალო უნდა იქნეს აღებული და ეს საშუალო დათვლილ უნდა იქნეს ოპერატორების საშუალოს მიხედვით, თუ თეორიული ეფექტური ოპერატორის ხარჯების მიხედვით.</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>მეთოდოლოგიის მე-8 მუხლი განაზოგადებს შერჩეული მოდელის პრინციპებს და კონცეფციას. თავის მხრივ, მოდელი იყენებს როგორც ე.წ. “bottom-up”, ასევე “top-down” მიდგომებს, რაც გულისხმობს, რომ მოდელში გამოყენებული იქნება კონკრეტული ინფრასტრუქტურის ოპერატორის ფაქტობრივი მაჩვენებლები - მაგალითად, პასიური ინფრასტრუქტურის სიგრძე და მის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ხარჯი.</p> <p>სამომავლო ნაზარდი ხარჯები კი ამ შემთხვევაში, გულისხმობს, რომ გათვალისწინებულ იქნას მომსახურების გასანევიად აუცილებელი კაპიტალური ხარჯი, რომელიც ფასდება აქტივების შესყიდვის ღირებულებით, ხოლო ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავს მომავლის მოლოდინებს და შეფასებას.</p>
<p>პროექტის მიხედვით გაურკვეველია ვინ და როგორ განსაზღვრავს არაეფექტურად განეულ ხარჯებს, არადაბრუნებად დანახარჯებს (sunk cost) და კიდევ უფრო</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>მეთოდოლოგიის მე-9 მუხლი განსაზღვრავს</p>

<p>გაურკვეველია, საერთოდ რატომ არის საუბრები ამ ხარჯებზე, თუ საფასურის გაანგარიშება უნდა მოხდეს თეორიულად ეფექტური ოპერატორის პრინციპის მიხედვით.</p>	<p>მოდელის ზოგად კონცეფციას (უფრო დეტალური განმარტებები მოცემულია „სარეკომენდაციო მითითებებში“). როგორც, მეთოდოლოგიის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, ტარიფის დათვლისას ინფრასტრუქტურის ოპერატორის პასიური ინფრასტრუქტურის ქსელის რეალური ტოპოლოგია იქნება გათვალისწინებული. შესაბამისად, აუცილებელია განიმარტოს ისიც, რომ ხარჯებში არ იქნება გათვალისწინებული ოპერატორის ეკონომიკურად გაუმართლებელი ხარჯები.</p> <p>რაც შეეხება არადაბრუნებად ხარჯებს ე.წ. „sunk cost“, შესაძლოა წარმოადგენდეს ისეთი აქტივის მშენებლობაზე განეულ ხარჯებს, რომლებიც არასოდეს გამოყენებულა (მაგალითად, აქტივი სრულად დაუსახლებელ ტერიტორიაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში). იხილეთ შესაბამისი განმარტება მეთოდოლოგიის მე-3 მუხლში.</p>
<p>პროექტის მიხედვით გაურკვეველია ასევე ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობის საკითხი. მაგალითად, თუ ინფრასტრუქტურის ოპერატორი ანძის აშენებას აპირებს და ამ დროს მიმართა მას დაშვების მსურველმა, მაშინ აშენების ხარჯი გათვალისწინებული უნდა იყოს დაშვების საფასურში, ხოლო თუ ანძა უკვე აშენებულია, მაშინ აშენების ხარჯი არადაბრუნებად (sunk) ხარჯს წარმოადგენს და არ უნდა იქნეს შეყვანილი დაშვების ფასში.</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>თუმცა, მეტი სიცხადისთვის მეთოდოლოგიის მე-3 მუხლს დავამატა „ა“ ქვეპუნქტი და განიმარტა „არადაბრუნებადი დანახარჯები“. თავის მხრივ, არადაბრუნებადი ხარჯები არ გულისხმობს უკვე აშენებული აქტივის ღირებულებას. შესაბამისად, აქტივები, რომლებიც აშენებულია მომსახურების განვამდე ექვემდებარება მომსახურების საფასურში ასახვას, თუ ამ აქტივის საექსპლუატაციო ვადა არ არის გასული.</p> <p>კაპიტალური ხარჯების მოდელში გათვალისწინების თაობაზე, გთხოვთ იხილეთ მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი და დადგენილების დანართი N1.</p>
<p>პროექტში მოყვანილია ანუიტეტის დათვლის რამდენიმე გზა. თუ კომისია ითხოვს ერთი კონკრეტული გზის გამოყენებას, გაუგებარია რა საჭიროა ყველა გზის ჩამოთვლა.</p>	<p>მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი განსაზღვრავს კონცეპტუალურ საფუძვლებს, ანუიტეტის სხვადასხვა ვარიაციის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სატელეკომუნიკაციო სექტორში</p>

		<p>კაპიტალური ხარჯების სპეციფიკაციიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აქტივების ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს არამარტო მიმდინარე ღირებულებას, არამედ აქტივის ფასის საშუალო წლიურ ცვლილებას და გარდა ამისა აქტივის მშენებლობისთვის საჭირო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც აქტივი ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების გენერირებას, უპირატესობა მინიჭებული ჰქონდა იმ მიდგომას, რომელიც ყველა ამ ფაქტორს ითვალისწინებს, კერძოდ გადახრილ მოდიფიცირებულ ანუიტეტს.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ რომელიმე კონკრეტული ბიზნეს მოდელის შემთხვევაში ესა თუ ის პირობა, შეიძლება არ იყოს რელევანტური და მისთვის უპირატესად განისაზღვროს განსხვავებული მიდგომა, შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ანუიტეტის მოდელების სრული ჩამონათვალი დარჩეს მეთოდოლოგიაში და კომისია, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, გამოიყენებს იმ კონკრეტული ბიზნეს მოდელისთვის რელევანტურ ხარჯების განლიურების მეთოდს.</p> <p>თუმცა, ზეპირ მოსმენაზე დამატებით გაკეთებული კომენტარის ნაწილობრივ გათვალისწინებით, მეთოდოლოგიის მიხედვით რომელიმე მეთოდს, რომ არ ჰქონდეს ცალსახად მინიჭებული უპირატესობა, შესწორება შევიდა მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტში და ამოღებულ იქნა მითითება, რომ უპირატესობა მიენიჭება მოდიფიცირებულ გადახრილ ანუიტეტს.</p>
	<p>პროექტის მიხედვით გაურკვეველია როგორ უნდა მოხდეს საფასურის გაანგარიშება მაგალითად 2 წლიანი დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ აქტივის დარჩენილი სასიცოცხლო ვადა არის 10 წელი.</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე, რადგან საფასურის გამოანგარიშების მოდელის მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა თუ რამდენი წლიანი დაშვება იქნება მოთხოვნილი დაშვების მსურველის მიერ, არამედ კაპიტალური ხარჯი ითვალისწინებს მხოლოდ აქტივის სასარგებლო სიცოცხლის ხანგრძლივობას.</p>
<p>სს „სილქნეტი“ (წერილის</p>	<p>„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის</p>	<p>მეთოდოლოგია არ საჭიროებს შესწორებას მხარის კომენტარის საფუძველზე შემდეგი</p>

<p>კომისიაში რეგისტრაციის №მ-24-6/2670, თარიღი: 17.06.2024)</p>	<p>გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში, „კანონი“) მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე, მათ შორის, დაშვების ფასზე, შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დავის გადანაცვების მოთხოვნით კომისიას მიმართონ. ამავე კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიას ამტკიცებს კომისია.</p> <p>შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ „კანონის“ თანახმად „დადგენილების პროექტი“ უნდა მოიცავდეს მობილური გადამცემების განთავსების მიზნით ანძებზე/ბოძებზე საფასურის გაანგარიშებასაც, აღნიშნულ საკითხს სპეციალიზებული ფორმით არ ანესრიგებს „დადგენილების პროექტი“, განსხვავებით საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე და ბოძებზე ოპტიკის განთავსების მიზნით დაშვების ნაწილისა და შესაბამისი ხარჯების კატეგორიებისა, რაც კონკრეტულად არ არის მონესრიგებული „დადგენილების პროექტით“.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე, ორაზროვნების გამოსარიცხად, გთხოვთ, „დადგენილების პროექტი“ მოიყვანოთ „კანონთან“ შესაბამისობაში და განახორციელოთ ზემოთ მითითებული ცვლილებები.</p>	<p>გარემოებების გათვალისწინებით:</p> <p>მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის აქტიური და პასიური ელემენტების განთავსების მომსახურების საფასურის გამოიანგარიშება, ხორციელდება ფასნამატიანი, მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების (LRIC+) მოდელის გამოყენებით. შესაბამისად, საფასურის გაანგარიშება მიემართება როგორც პასიური, ასევე აქტიური ელემენტების განთავსებას ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, რაც მოიცავს როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური ქსელის ელემენტების განთავსების მომსახურებასაც.</p>
---	---	--

ვახტანგ აბაშიძე



თავმჯდომარე - მ.შ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

